

თავისუფალი საქართველო

მრავალი ვაიძინი საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი 11 X 1991 ფასი 50 კაპ. № 38 (43)

„რა ვქნათ და რა ვთქვათ?!“

„ზოგიერთმა თქვენმა დეპუტატმა პირი გამოირცხოს, როცა ინტელიგენციაზე ლაპარაკობს.“

ლევან ალექსიძე

„მეტად ძნელია შეეგუო ჩვენი ინტელიგენციის მიმართ ამ ბოლო ხანებში ჩვენი ოფიციალური პრესის ფურცლებზე გამოთქმულ დაუმსახურებელ აუტსა და საყვედურებს.“

ირაკლი აბაშიძე

აზრის წარმოთქმა რომელიმე საგანზე თვით საგნის შეუსწავლელად და შეუგნებლად მხოლოდ რეგვენს ადა-მიანს შეუძლიან. რეგვენი, უმეცარი ადამიანი მსჯელობაში მუდამ თამამია, გაბედული. იმას, თუ ცოტა ოდნავ აქვს ძალ-ღონე მსჯელობისა, ოდნავ მაინც ამოძრავებს გონებას და რაიმე აზრმა გაურბინა თავში, მაშინვე თავის თავი წარმოუდგება თვალწინ და თამამად იტყვის: ჰა, ვიპოვე, ნამდვილია! სწორედ ასეა. მაშ რად მომივიდა თავში ეს ფიქრი, თუ კი ნამდვილი არაა?! „მომივიდა ფიქრად“ ასეთი ადამიანისათვის სრულიად საკმაოა სიმართლის, სინათლის სათქმელად და დასამკვიდრებლად.

დიად, „მომივიდა ფიქრად“-ო, ამან ძალიან განზე გაშალა ჩვენში ფეხები: მოუვიდა ერთს ფიქრად, პოეტი უნდა ვიყოვო და გახდა კიდევ; მოუვიდა მეორეს ფიქრად, გაისტორიკოსება, გაისტორიკოსდა. მოუვიდა მესამეს ფიქრად, უნდა საქართველოს საქმეთა მოთავედ გავხდეთ, გახდა. მაშასადამე, „ფიქრად მოსვლას“ ძალ-ღონე ჰქონია? აქვს და აგრე! ფიქრად მოსვლა შეიცავს წადილს, ნდომას; თუ კაცმა არ მოინდომა, ვერაფერს გააკეთებს; ეს ცხადია: კოლუმბს რომ ფიქრად არ მოსვლოდა კიდევ სხვა ქვეყანა უნდა არსებობდესო გარდა იმ ქვეყნებისა, რაც იმ დროს კაცობრიობამ იცოდა, ხომ არ აღმოაჩინდა ამერიკას? ჰო, ეს მართალია, მაგრამ ის კოლუმბი იყო და ჩვენებური კოლუმბები სხვა ჯურის კოლუმბებია, ფიქრი არა კმარა მართო, ფიქრს უნარიც უნდა შესწევდეს. ამას ესენი არ დაგიდევინ, რადგან მართო „ფიქრად მოსვლა“ საჭირო და სხვა არა-რა. რადა? მადა, რომ უკაცრავად თუ არ ვიქნები ამ სიტყვაზედ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლია იქ ყოველ გვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინაფარდოს. როცა საზოგადოებას მართალი სასწორ-საზომი არ უქირავს ხელში ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიადაც არ მოეპოვება ისინი, რა თქმა უნდა, იმისთანა საზოგადოებისაგან ფულისა და გულის მოგება ადვილია: ვირვანქა

შეგიძლიან ათ ვირვანქიანად ამუშავო, გოჯი — ადლად...

ეს „ფიქრად მოსვლა“ კიდევ რაც არის — არის, ჯანდაბან იმისი თავი და ტანი, უბედურება ისაა, ხანდახან მის ადგილს იჭერს „ფიქრის ჩაძახება“: ჩაძახებ და ამოგაძახებს ქვევრივით. ნუთუ ეს კი ცუდი თვისებაა კაცის გონებისა, რომ სხვის ფიქრი მიიღოს, გაიზიაროს?! ესეც ისევე კაცზეა დამოკიდებული: იმ ჯურის ადამიანთათვის, რომელიც ზევით მოვისხენიეთ, მეტად საშიშად მიგვაჩნია: ამ გვარს ხალხს შეიძლება მაღლიანმა კაცმა მრავალი მაღლი ჩაადენინოს, მაგრამ უმადურმა და უმადლომ კი მრავალი ცოდვა, ბევრი სამაფნეო; ამ გვარნი კაცნი სხვის ხელში იარაღად ხდებიან, მუშაობს იმათი საშუალებით, სხვა, ერთი, ან ორი ადამიანი ხჩარხავს თავს საქმეს, ბევრს შემთხვევაში, უკუღმართს, ქვეყნისთვის საზარალო, საზიანო. ისინი მაინც საიმედონი არ არიან, არ არიან იმიტომ, რომ დღეს აგებულს ციხეს ხვალ წიხლსა ჰკვრივ და დაშლიან. გუშინ, ვისაც „ვაშა“-ს მიუძღვნდნენ, დღეს იმაზე ჯვარს აცვიტოთ“ იძახიან. რატომ? იმიტომ, რომ დღეს სხვამ სხვა ფიქრი ჩაძახა...

ნუ გგონიათ ეს „ფიქრ მოსული“ და ეს „ფიქრ ჩაძახებული“, თუ შიძლება ასე ვსთქვათ, ბრბო იყოს უსწავლელი, უმეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს ინტელიგენციას ეძახიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თითონ ივარაუდეთ, რა აზრს შეიძლება ამ გვარი ინტელიგენცია თავის ქვეყნის შესახებ, ან რა ზუსს აირჩევს სავალად? იმათ ვერ მოვთხოვთ ვერაფერ პროგრამას მოქმედებისას, შეთანხმებულს ჩვენი ცხოვრების საჭიროებასთან. ვერ მოვთხოვთ იმათ აგრეთვე აზრს, იღვას მართლა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადეგს, რადგანაც თუ რამ უსწავლიათ, უფრო სხვა ერთა ცხოვრებისა, ისტორიისა, ვიდრე თავისა. რა აზრი მოეთხოვება ამ გვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა — არ იცნობს მის გონებრივ აგებულობას, არ იცის საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მისი სოციალური ყოფამდგომარეობა? იმიტომ უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილის აზრს, მაშასადამე, ჩაძახებულს ფიქრს იმეორებს... აზრებშიაც გარჩევა როდი იციან: საპირადო, საოჯახო, კერძო აზრი საერო, საქვეყნო აზრად მიაჩნიათ.

ჩვენი ინტელიგენცია? ჰმ! რა ვქნათ და რა ვთქვათ?! რამდენსა სტყუის იგი თავის საკუთარ ღმერთთან, თავისი აზრისა და გრძნობის წინაშე, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ჩემთვის სულერთია

და რომ სტყუის ეს უეჭველად ასეა.

არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთ პროგრამას და ერთ გეგმას მოქმედებისას საჭიროებს. ეს ვერ შევიგნით, ვერ გავიგეთ დღესამომდღე. ასევე იქნება მომავალშიც თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას ვერ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად, — სანამ საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, მანამდე არც მდურვას ქართველი ერის გულგრილობა-დაუღვრებობის გამო ექნება დასასრული.

მე რომ მკითხოთ, როგორც ბევრად თუ ცოტად მცოდნეს ჩვენი ხალხისა და ჩვენი ცხოვრებისა — რომელი უფრო სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, თუ მოვალეობას, უკანასკნელი გლეხი, თუ თავმომწონე ინტელიგენცია, გლეხი-მეთქი, გიპასუხებთ. ამით ღმერთმა დამიფაროს სწავლა-განათლება მგმობელი ვიყო, არა, მაგრამ ასეა დღეს და რას იზამ?

რაღაო? იკითხავთ. იმიტომ, მოგახსენებთ, რომ უბირი გლეხი თავის ცოდნას, გამოცდილებას, თავის ძალ-ღონეს არა სზოგავს, დილიდან მოყოლებული საღამომდე წელეზე ფეხს იდგამს, რომ აცხოვროს თავისი ცოლშვილი, გაუძღვეს ათასნაირ ხარჯს. იმასაც ნუ დაევიწყებთ, რომ ეს უკანასკნელი ერის ნივთიერი კულტურის შექმნელია და ფეხიც არ მოუსხლეტია, მაგრად უდგა სამშობლო მიწა-წყალსა და მამა-პაპის კერაზე.

ინტელიგენციას კი რა უფლება აქვს — ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს განაჩენი დაუღვინოს ასე თამამად, კანდიერებით?! ვისი დახასიათებაც ვინდა, ჯერ იმას კარგად უნდა იცნობდეს, მისი გარემოება, ავი და კარგი შეგნებული გქონდეს, რომ განაჩენიც სამართლიანად გამოდგეს. ჩვენთვის კი ეს ჰეშმარიტება საჭირო არა ყოფილა. ამ ლაყე, შხამიან აზრს კარგად რომ ჩაუუკვირდეთ, ღრმად მოვთხაროთ და ფესვები აღმოვუჩინოთ, მხოლოდ იქ ვიპოვით მიზეზს ამ უკეთურის განაჩენისას... მოვთხარეთ კიდევ და იცით იქედან რა ხმა და სამდურავი მოისმის: ამოდენა ვიშრომეთ, ვიდგაწეთ და არ იქნა ქართველ ერს თვალები ვერ ავახელინეთო. ყველა ჩვენგანსა ჰგონია, დიდი და ბევრი რამ გავაკეთე საქვეყნოდ და არ მოიტანა ნაყოფი — ღვაწლი და შრომა ჩემი დაიკარგა უქმადო, თორემ ამდენი სხვა ქვეყანაში რომ მეშრომა იმასაც გავაბედნიერებდი და ჩემს თავსაცო. ამ უხამსი განაჩენის მიზეზი და


სათავე, თუ გნებავთ, აქედან იწყება. ცოტა შევჩერდეთ და ჩვენს თავს დავეკითხოთ: მართლაც რა გავარიგეთ, რა გავაკეთებთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ? თუ მე მკითხავთ, გულახდილად გეტყვით, არაფერი.

ამგვარი აზრების ქადაგებას არა უშავდა რა კიდევ, რომ ისეთის სხივით არ ჰმოსავდნენ, თითქოს ქვეყნის წყულთა წამალი მხოლოდ ეს არის და სხვა არარა, რომ მთელი ქვეყნის ფიქრს არ აშორებდნენ უმთავრესი აზრიდამ, ხაგნიდამ და არ აცდენდნენ ამ ასკუბდი გადასკუბდის ცქერაში. ამ ვაუბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდნენ, რომ ერი შეერთებულად გნეოსია, იმას შეიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა, მაგრამ უეჭველია, რომ გრძნობს კი. ან ეს რა ლოლიკაა: შეაძულო ან შეაყვარო რომელიმე პირი წერით და ქადაგებით? ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თვით ერს არა აქვს იმ ცალკე პირთან დამოკიდებულება? შესთხა ფაქტები დიდებისა და ძაგებისა და ამით ჩაპრგო ერის გულში ის გრძნობა, რომელსაც შენ ელტვი, მაგრამ იქ კი, სადაც ერი თავის თვალთა ჰხედავს და მთელის თავის სხეულითა გრძნობს, განძრახ „აზრების“ თესა ამოდ დროს დაკარგვა. ნუთუ იმათ არა ჰსმენიათ ჯერ ხალხური ლექსი, თვით ერის სიმღერა — „სიყვარული არ იქნება ძალითა“, რომელიც შეიძლება ასე შევცვალოთ: „სიმძულვარეც არ იქნება ძალითა!“

რა გნებავთ? რა ლობე ყორეს ედებით? როგორ ვინდათ მოსპოთ ის რასაც თვით ცხოვრება, ბუნება არა სპობს: საცაა თოვლი მოვა, ზამთარი დადგება, იმას ვაზაფხული მოჰყვება; დღე ღამეს მოსდევს, ღამეს — დღე. თქვენს ნებაზე ვერც დალაშქვით, ვერც გაათენებთ... რად გეჭაგრებათ ჩვენი ერის განთიადი?

დიად, ჩვენ განთიადად მიგვაჩნია, როცა ერი თავისს ღირსეულ შვილებს აფასებს ღირსეულად. ვგონებ თქვენს ბანაკშიც მოიპოვებთან იდეურ ნიადაგზე წამებულნი, თქვენც დააწესეთ მათ პატივსაცემად დღესასწაული. ვინ გიშლით? იქნება ერმა თქვენდამი მეტი თანაგრძნობა გამოიჩინოს? არა გაქვთ იმედი? რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ერი უარგყოფთ, როგორც თქვენ უარპყავით იგი და ჩვენც გვემუქრებით, ხალხი გამოგრეკავთ ერთხელაც იქნება, როგორც იესომ ვაჭრები გამოდევნა ტაძრიდანო, თანახმა ვარ, ხოლო ვიდრე ამას მოვესწრებით, ჩვენ მაინც ჩვენს სამსახურს არ მოვაქლებთ ამ ერს.

ბიბლიოთეკა



ძვი და მისგან დაამზადეს შვიდი სვეტი ეკლესიისა...

წმიდა ნინომ დიდხანს ილოცა, რათა არ დაბრკოლებულიყო ეკლესიის შენების საქმე...

საკვირველი სასწაულის სახილველი აღმოჩნდა მისთვის...

სვეტი-ცხოველი მრავალი სასწაული მოახდინა...

ადამის — იესუ ქრისტეს მოვლინებით...

ხით დასაჯა პირველი კაცი; ხითვე (საუფლო წყაროს ძელით) მოხდა მისი გამოსახვა...

მცხეთაში დაფლული საუფლო კვართი და იქვე აღმოცენებული სვეტი ცხოველი — ღმრთისმშობელი უზრუნველი შემოსვლისა და მაცხოვრებლის ძელით...

ნათლით გაბრწყინებული სვეტი-ცხოველი გამოსახავს აგრეთვე იმ ნათლის სვეტს...

სვეტიცხოველი გამოსახავს იმ ძელსაც, რომელიც მსოფლიოს წინაშე...

ქრისტეს კვართის შემოსვლა მცხეთაში — მერვე იერუსალიმში — სამეფო ქალაქში მაცხოვრის...

დიდი მადლი მოუვლინა, მისი ჯვარის მტკივნეული და ერთგული სამწყსოდ გამოაჩინა იგი.

შემთხვევით რომი გამოსახავს სვეტიცხოველის ხატზე ყველა დროის ქართველ წმიდათა კრებულს...

მაგრამ რამდენადაც დიდი ღმრთის მოწყობა, იმდენადვე დიდი ჩვენი საღმრთო ვალი...

დაიხ, ჩვენ, ღმრთისმშობლის წილგოდარ სამწყსოს, ღმრთის მადლით სავსე ვართ...

მადლით ცხებულებს გარეშე მტერი ვერ დაგვაბრკობს...

თუ განდევნეთ შინაგანი მტერი — ეს ჩვენი ძლევისა და გამარჯვების საწინდარი გახდება...

სპეტიცხოველი — დღესასწაული ქართველი ერის სულიერი ერთიანობისა

1 (14) ოქტომბერი — სვეტიცხოველობა — ქართული ეკლესიის განსაკუთრებული დღესასწაულია...

როგორც საისტორიო ტრადიციით ვიცით, სვეტიცხოველის სასწაულთან დაკავშირებული ისტორია საუფლო კვართისა...

ჩემი მათ შორის თავისა მათისა და კუარტისა ჩემსა ზედა განიდგეს წილი (ფს. 21, 19).

როგორც „მოქცევა ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, საუფლო კვართი წილის-ყრით შეგვედგინა მცხეთელ ერეიელს — ელიოზს...

ამ უკანასკნელმა კვართი მცხეთაში ჩამოიტანა აქ მის მოგება მისი და სიღონია, რომელიც ქრისტეს მოსაყი ყოფილიყო...

სიღონია კვართთან ერთად დაბარჩეს მეფის „სამოთხეში“ (ბაღში), ლიბანის ნაძვის მახლობლად...

დავრდომილი განიკურნა. მადლი ღმრთისა მოეფინა სრულიად საქართველოს...

სვეტიცხოველი — ქართული საღმრთისმეტყველო აზრით — ქრისტე ღმრთის მაცხოვრებლის გამოქსახველი სიწმიდეა...

უწინარეს ყოვლისა, სვეტიცხოველი გამოსახავს ძელს ცხოვრებისას, რომელიც სამოთხის შუაგულში აღმოცენდა...

როგორც „დაბადებიდან“ ვიცით, პირველი ადამი ეშმაკის შურით მოაკლდა უკვდავებას...

დიდებით შესვლის ბადალი; სიღონიას მიერ კვართის მკერდზე „შეტეობა“ — უფლის მიჩქმისა მართალი სემინების მიერ...

ცხოველი სვეტი სიცოცხლის ანიჭებდა მის მიერ გამოდინებული მირონის სარწმუნოებით მცხებელთა ცხოვრების საცხებელი — სულიწმიდის მადლის გამომსახველი იყო...

დიდი და ღმრთივბრწყინვალე საუფლო კვართისა და სვეტიცხოველის დღესასწაული. საქუთარი კვართის მონიჭებით უფალმა ქართველ ერს...

ბის საწინდარი გახდება. თუ შევიმოხეთ საღმრთო სამოსელი, ვიტვირთეთ მსუბუქი ტვირთი ქრისტიანობითა — სიყვარული ღმრთისა და მოყვასისა — ყოველგვარი განსაცდელი უკან დაგვრჩება...

წმიდა მამათაგან თქმულია: „დიდი სიბრძნეა კაცისაგან, ცნობა საზომისა თავისისა“... როდესაც გულისხმავთ ვკვარს, რომელიც ღმრთისაგან მოგვეცა თითოეულ ჩვენგანს, იოლად დაცხრება უსარგებლო განებათმტკიცებანი...

დაიხ, მხოლოდ ქეშმარიტება ვაგვიერთიანებს ჩვენ; მადლი საუფლო კვართისა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა; მადლი „ზეცთა ჩინებისა“; შეგნება უდიდესი საღმრთო მოვალეობისა...

მ. მ. კლოპელი.

გიშუბი არა ვართ?!

არსებობს მოვლენები, რომლებიც თავისთავად მიიჩნევა შეთავაზებულს სტრუქტურებს და საგანგებო სიმძაფრით აღიქმება საზოგადოებისათვის...

დამუფლებოდა. ძალიან დიდხანს ვერ ვხვდებოდით, რაშია საქმე, რატომ ვერ ვაგებინებ მოსაუბრეს ჩემს აზრს...

საგანგებოდ მინდა გადავუხადო მადლობა ბატონ გელა ჩორგოლაშვილს, რომელიც ერთი ფრაზით, სრულიად მომხსნა ეს გაურკვევლობის და უსუსურობის განცდა...

მთელი ამ ხნის მანძილზე პირადად ჩემთვის, ძალიან ძნელდებოდა კამათის ისე წარმართვა, რომ ყოველი საუბრის შემდეგ უსუსურობისა და გაურკვევლობის გრძნობა არ...

და როგორც იქნა, გამოვედით შეიარაღებული გვარდიელებისგან შემდგარ კორიდორში...

დააკვირდით ბატონი ანტონოვიჩის სადა, მარტივ მიამიტობას, ასე უბრალოდ, ერთმნიშვნელოვნად გამოხატულს...

ეს თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდს სრულად აქარწყლებს იმ ბუნდოვანების განცდას, რომელიც თანხრობიანებთან კამათის დროს გვეუფლება...

ებს ბოლო არ ექნება. ეს გაუგებრობა კი მხოლოდ ჩემი დაჩემების ბრალი იქნება...

მეტად ძნელია კამათის წარმოება, როცა ერთი, საერთო საზომი, საერთო, დაახლოებით მაინც შეთანხმებული კრიტერიუმი არ არსებობს...

ამიტომ გვეხმოს ერთმანეთის. ისიც გვეხმოს, რომ ზოგჯერ დემოკრატიაში შეიძლება აიღოს თოფი, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული პირობებია საჭირო, მაგალითად ომი, ყაჩაღების თავდასხმის მოგერიება, თავდაცვა და სხვა...

მორჩილოს თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ დემოკრატია ჯგუფს, რომ უმცირესობის ინტერესების გათვალისწინება არ ნიშნავს მათ უპირობო მიღებას...

რომელ სერიოზულ ოპოზიციურ შეიძლება იყოს საუბარი პარლამენტში, სადაც ერთ-ერთი დემოკრატიული ფრაქცია ასე სებას საკითხს, ჩემი წინადადებები კენჭისყრაზე არ დაყენოთ, რადგანაც წინასწარ ვიცი, რომ არ ვაგა — პირდაპირ მიიღეთ და ამას აღტყობ ნატივას კი არა, კონსენსუსს ეძებთ...

(დასასრული მე-4 მხ.)

